საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1209

05/08/2021

ქ. თბილისი

შპს „შავი ოქროს“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. პირველი სვირის მიმდებარედ მდ. ყვირილას კალაპოტის დაღრმავებისა და გასწორხაზოვნების (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, შპს „შავი ოქროს“ მიერ წარმოდგენილია ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. პირველი სვირის მიმდებარედ მდ. ყვირილას კალაპოტის დაღრმავებისა და გასწორხაზოვნების (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, 2021 წლის 24-25 მარტს დასავლეთ საქართველოში რთულმა მეტეოროლოგიურმა პირობებმა და უხვმა ატმოსფერულმა ნალექმა მდინარე ყვირილაზე გამოიწვია წყალდიდობა. წყალდიდობის შედეგად სოფელ პირველ სვირთან, მდ. ყვირილას მარჯვენა ნაპირზე განვითარდა ინტენსიური წყლისმიერი გვერდითი ეროზია. ეროზიული უბნის სიგრძე 430 მეტრია. სტიქიამ ამ მონაკვეთზე წააქცია ელ. გადამცემი ხაზები, დააზიანა ძველი ხიდის ბურჯი და წაიღო გრუნტის საავტომობილო გზა, რომლითაც ადგილობრივები სარგებლობენ. მდ. ყვირილაზე წყალდიდობა 2021 წლის იანვრის თვეშიც დაფიქსირდა, ხოლო 2021 წლის 24-25 მარტის განმეორებულმა წყალდიდობამ ეროზიული პროცესები კიდევ უფრო გააქტიურა, მდინარეს მიმართულება შეუცვალა და ახალი კალაპოტი გაჭრა, რამაც ჯამში 2.3 – 2.5 ჰა ფართობის მიწის მორეცხვა გამოიწვია. 2021 წლის 26 მარტს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის სპეციალისტებმა ადგილზე შეაფასეს არსებული მდგომარეობა და დასკვნის სახით გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ეროზიული პროცესების გააქტიურება შეინიშნება 450 მეტრზე. ტერიტორიაზე პირველადი პრევენციის მიზნით დაგეგმილია, მდინარე ყვირილას კალაპოტის დაღრმავება-გასწორხაზოვნება და ნაკადის პირვანდელ კალაპოტში დაბრუნება. მდ. ყვირილას კალაპოტის გაჭრა და დაღრმავება მოხდება მდინარე ყვირილას X-331909 Y-4665534 კოორდინატზე 600 მეტრის მანძილზე. წყლის ნაკადის მიმართულების შეცვლის შემდეგ, გასწორხაზოვნდება მდ. ყვირილას მარჯვენა ტოტიც 800 მეტრის მანძილზე, რითაც მარჯვენა ნაპირზე წყლის ნაკადი აღარ იქნება. მდ. ყვირილას კალაპოტის დაღრმავების-გასწორხაზოვნებისას მაქსიმალურად შენარჩუნდება და არ შეიცვლება მდინარის ბუნებრივი ქანობი, სწორედ ამიტომ საუკეთესო გამოსავალია ამოღებული მასალა გატანილ იქნას კალაპოტიდან, რათა წყლის ნაკადმა ისევ არ მოახდინოს კალაპოტის ამოვსება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „შავი ოქროს“ სპეციალისტების მიერ 2021 წლის მაისში საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდა საველე სამუშაოები,

კერძოდ: ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები და ჰიდროლოგიური კვლევები. ასევე განხორციელდა კამერალური სამუშაოები, დამუშავდა ლიტერატურული მასალა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მოქცეულია სოფ. პირველი სვირის და რკინიგზას შორის. საპროექტო ტერიტორიიდან რკინიგზა მდებარეობს 800 მეტრში, ხოლო ზესტაფონი-ბაღდათის საავტომობილო გზა (შ-54) მდებარეობს 500 მეტრში. მდ. ყვირილას მარჯვენა ნაპირზე ინდუსტრიული საქმიანობა მიმდინარეობს და საცხოვრებელი სახლები არ მდებარეობს, ხოლო მდინარის მარცხენა მხარეს 550-600 მეტრში მდებარეობს სოფ. პირველი სვირი.

წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სამუშაოების განხორციელების ეტაპზე მდინარის კალაპოტის დაღრმავება-გასწორხაზოვნება განხორციელდება გარეცხვის სიღრმის პარამეტრების გათვალისწინებით, რაც მიღებულ იქნა შესაბამისი ჰიდროლოგიური კვლევების საფუძველზე. პროექტით გათვალისწინებულია 3 მეტრიანი წარეცხვის მარაგი, რაც დადგინდა მდ. ყვირილას ეროზიული პროცესების აქტიურობიდან გამომდინარე, შესაბამისად პირველ ეტაპზე კალაპოტის დაღრმავება არ განხორციელდება 1.5 მეტრზე მეტ სიღრმეზე.

მდ. ყვირილას კალაპოტის დაღრმავების-გასწორხაზოვნებისას არ იქნება შემოტანილი დამატებითი სხვა სახის მასალა. ასევე მდინარის დაღრმავების პროცესში ამოღებული მასალა გატანილი იქნება ტერიტორიიდან. მასალის (ქვიშა-ხრეში) გატანა შემდგომი დამუშავების მიზნით მოხდება სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს მიერ ლიცენზიის გაცემის შემდგომ.

სკრინინგის განცხადებაში მოცემულია ინფორმაცია მდ. ყვირილას ჰიდროლოგიური მონაცემების შესახებ. დოკუმენტის მიხედვით, მდინარე ყვირილას 1%-იანი უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯი ტოლია 1477 $მ^3$/წმ-ის, კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე შეესაბამება 4.89 მეტრს, ხოლო კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე - 7,82 მ-ის ტოლია.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სამუშაოები განხორციელდება მდინარის წყალმცირობის პერიოდში. მდინარის დაღრმავება-გასწორხაზოვნება და კალაპოტის ცვლილება განხორციელდება ბულდოზერით. სამუშაოს პროცესში არ არის დაგეგმილი დამატებითი სხვა სახის მასალის შემოტანა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება მოსალოდნელია განსახორციელებელი სამუშაოებისათვის საჭირო ტექნიკის გამონაბოლქვით. მდინარის დაღრმავება-გასწორხაზოვნების (ნაპირდაცვითი) ღონისძიებისთვის გამოყენებული იქნება სპეცტექნიკა, რომელიც მხოლოდ დროებით აწარმოებს სამუშაოებს. დაგეგმილი სამუშაოები არ არის გრძელვადიანი, შესაბამისად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევები ან მტვრის მკვეთრი წარმოქმნა არ არის მოსალოდნელი. სამუშაოები დროებითია, რაც გარემოს ფონურ მდგომარეობაზე მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას ვერ მოახდენს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროა მძიმე ტექნიკა, იქიდან გამომდინარე, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 550-600 მეტრით უახლოეს მოსახლესთან მიმართებაში ხმაურის დონის გადაჭარბება და ვიბრაციის გავრცელება მოსალოდნელი არ არის.

ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია მდინარის კალაპოტში, შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საპროექტო ტერიტორიაზე გრუნტის დაბინძურება მოსალოდნელია სატრანსპორტო საშუალებებისა და სამუშაოებზე გამოყენებული ტექნიკის მუშაობის პროცესში. დაბინძურების წყარო შეიძლება იყოს ტექნიკის საწვავის/ზეთების გაჟონვა. ამასთან,

განხორციელდება სამუშაოებში ჩართული ტექნიკის გამართულობის მუდმივი კონტროლი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, იქიდან გამომდინარე, რომ მდინარის დაღრმავება-გასწორხაზოვნება დაგეგმილია ეროზიული უბნის დასაცავად, საქმიანობა ვერ გამოიწვევს გეოლოგიური გარემოს მკვეთრ ცვლილებას და გეოდინამიკური პროცესების წარმოქმნა-გააქტიურებას.

ზედაპირული წყლის დაბინძურების ძირითადი რისკია მძიმე ტექნიკის გაუმართაობა, რის გამოც შესაძლოა ნავთობპროდუქტები მოხვდეს გრუნტში, ზედაპირულ და გრუნტის წყალში, რაც გამოიწვევს წყლის გარემოს დაბინძურებას. ასევე დაბინძურების წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს ნარჩენების არასწორი მართვა. ჩატარებული სამუშაოების პროცესში გაკონტროლდება სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობა. ამასთან სამუშაოების წარმოებისას არ არის დაგეგმილი ისეთი ნივთიერებების გამოყენება, რაც მოახდენს პოტენციურად ზედაპირული წყლისა და გრუნტის წყლების დაბინძურებას.

პროექტის განხორციელების ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. სახიფათო ნარჩენები დროებით დასაწყობდება და შემდგომი მართვისათვის გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას. ხოლო საყოფაცხოვრებო ნარჩენები გატანილი იქნება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე.

პროექტის მიმდინარეობისას არ არის დაგეგმილი ხე-მცენარეების გაკაფვა, შესაბამისად მათზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. პროექტით დაგეგმილი არ არის საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზების მოწყობა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე, მის უშუალო სიახლოვეს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ ფიქსირდება. სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის სამსახურებს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით დგინდება, რომ ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისას მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი არ არის. პროექტი გარემოსდაცვითი ღონისძიებაა და უზრუნველყოფს, ეროზიული პროცესების გააქტიურების და მიმდებარე ტერიტორიის დატბორვის თავიდან აცილებას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.13 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნას სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „შავი ოქროს“ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. პირველი სვირის მიმდებარედ მდ. ყვირილას

კალაპოტის დაღრმავებისა და გასწორხაზოვნების (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. შპს „შავი ოქრო“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „შავ ოქროს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „შავი ოქროს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. N 6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი